

გირავნობის უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე

რას ნიშნავს გირავნობის უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე?

გირავნობის უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე არის ამ უფლებაში ცვლილების შესახებ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

აღნიშნულის საჭიროება დგება, მაშინ როდესაც გირავნობის ხელშეკრულების მხარეებს სურთ ხელშეკრულების პირობების შეცვლა.

ვის მივმართო მოძრავ ქონებაზე გირავნობის უფლებაში ცვლილების რეგისტრაციისათვის?

მოძრავ ქონებაზე გირავნობის უფლებაში ცვლილების რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება საბუთების მიმღები ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. გირავნობის უფლებაში ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. ხელშეკრულება);
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადა და საფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
დაუყოვნებლივ	30 ლარი